ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №667446

ნომერი: AR1125627

თარიღი : 18.04.2013

გაცემის თარიღი : 30.04.2013

გაცნობის თარიღი : 30.04.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საქართველოს სამხედრო გზასა და ახმეტელის ქუჩის გადაკვეთასთან;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზვიად ხაჩიძე პ/ნ 01009002508
- თბილისი, ნინო ჟვანიას ქუჩა, #2

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ფასადზე I კლასის სარეკლამო აბრების მოწყობის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, საქართველოს სამხედრო გზასა და ახმეტელის ქუჩის გადაკვეთასთან, შპს "კოდუ"-ს კუთვნილი შენობის ფასადზე სარეკლამო აბრების მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შპს ”კოდუ”-ს საკუთრებაში არსებული ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან #882012217331 24.05.2012წ. საკადასტრო კოდი #01.13.03.001.007, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, საქართველოს სამხედრო გზასა და ახმეტელის ქუჩის გადაკვეთასთან, შპს "კოდუ"-ს კუთვნილი შენობის ფასადზე სარეკლამო აბრების მოწყობის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge